

გორის საინფორმაციო ცენტრი



# ადგილობრივი ბიუჯეტის ცნობარი

**giz** Deutsche Gesellschaft  
für Internationale  
Zusammenarbeit (GIZ) GmbH

გორი, 2012

1. რა არის ბიუჯეტი
2. ადგილობრივი ბიუჯეტი და საბიუჯეტო პროცესი
  - 2.1. ადგილობრივი ბიუჯეტის აუცილებელი კომპონენტები
  - 2.2. საბიუჯეტო პროცესი
  - 2.3. საბიუჯეტო ვადები
3. ადგილობრივი ბიუჯეტის მომხმარებლები/მხარჯავი დაწესებულებები
4. ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები
  - 4.1. შემოსავლები
  - 4.2. სხვა სახის შემოსულობები
5. ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები
  - 5.1. ბიუჯეტის გადასახდელები და ბიუჯეტის დაბალანსება
  - 5.2. ხარჯების გაწევა უფლებამოსილებების შესაბამისად
  - 5.3. საბიუჯეტო კლასიფიკაცია
6. მოქალაქეების ჩართულობა ბიუჯეტის ფორმირების პროცესში და გამჭვირვალობა
7. პროგრამული ბიუჯეტის საფუძვლები
  - 7.1. პროგრამული ბიუჯეტის არსი
  - 7.2. მიზნობრივი პროგრამის სახეობები
  - 7.3. პროგრამული ბიუჯეტის პრაქტიკული შედგენის გზები
  - 7.4. პროგრამული ბიუჯეტის შეფასება და ანგარიშგება

## 1. რა არის ბიუჯეტი

მოკლედ და გასაგებად რომ ვთქვათ, **ბიუჯეტი** არის შემოსულობების და ხარჯების გეგმა დროის განსაზღვრული პერიოდისთვის. როგორც წესი, ეს პერიოდი ერთი წლით განისაზღვრება. ადგილობრივ ბიუჯეტში გასარკვევად, შედარებისათვის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია **ოჯახის ბიუჯეტი**. ყველა ჩვენგანს, ისევე როგორც თითოეულ ოჯახის წევრს, გააჩნია განსხვავებული სურვილები და მოთხოვნები. მათ დასაკმაყოფილებლად საჭიროა შესაბამისი თანხები, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი სურვილები და საჭიროებები უნდა შეესაბამებოდეს ჩვენ ფინანსურ შესაძლებლობებს. აქედან გამომდინარე მიზანშეწონილია, რომ ცალკეულმა ინდივიდებმა, ოჯახებმა, თვითმმართველობებმა თუ სახელმწიფომ შეადგინონ შემოსავლებისა და ხარჯების გეგმა სხვადასხვა დროის ინტერვალში და ასეთი გეგმა წარმოადგენს კიდევაც კონკრეტული ინდივიდის, ოჯახის, თვითმმართველობისა თუ სახელმწიფოს ბიუჯეტს.

წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ გვინდა შევადგინოთ შემდეგი წლისთვის ბიუჯეტის გეგმა. ჩვენი ბიუჯეტის გეგმის სიდიდე დამოკიდებულია ერთის მხრივ მოსალოდნელ საპროგნოზო შემოსავლებზე და მეორეს მხრივ, ჩვენს სურვილებზე და საჭიროებებზე. ძალიან მარტივია შემოსავლების და ხარჯების ერთმანეთთან მორგება, თუ ჩვენი საჭიროებები და სურვილები შემდეგი წლისთვის არ სცილდება საკვების, ტანსაცმლის, კომუნალური გადასახადების და სხვა საჭიროებების დაკმაყოფილებას. სხვა მოცემულობა გვაქვს, როდესაც გვინდა შემდეგ წელს ბინის ან ავტომანქანის შეძენა, რადგან მათი შეძენისთვის საჭირო თანხა ვერ იქნება შემდეგი ერთი წლის პერიოდში მობილიზირებული. რასაკვირველია, სახლის ან ავტომანქანის შეძენის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს ასევე დანაზოგის გამოყენება და სესხის აღება, მაგრამ ეს ყველაფერი წინასწარ უნდა დაიგეგმოს. მეორეს მხრივ, მეტი ძალისხმევით შეიძლება ჩვენი შემოსავლები შემდეგ წელს გაიზარდოს და გადააჭარბოს ხარჯებს. ასეთ შემთხვევაში, საქმე გვაქვს პროფიციტთან, რომელიც შეგვიძლია დანაზოგის ანგარიშზე დავდოთ ან გავაკეთოთ მისი ინვესტირება, ან შემდეგი წლისთვის გადავიტანოთ.

იგივე სტრუქტურა მოქმედებს თვითმმართველობისთვისაც. თვითმმართველობის განვითარების პოლიტიკიდან გამომდინარე, აქტივობების და საჭიროებების გათვალისწინებით ადგილობრივი მთავრობა გეგმავს თავის შემოსავლებს და ხარჯებს შემდეგი წლისთვის. რადგანაც თვითმმართველობა უფრო მეტად კომპლექსურ სისტემას წარმოადგენს, შესაბამისად მისი ბიუჯეტიც განსხვავდება ოჯახის ბიუჯეტისგან. მიუხედავად ბიუჯეტებს შორის განსხვავებული სტრუქტურის და ზომისა, ბიუჯეტის მთავარი არსი ყოველთვის ერთიდაიგივეა: შემოსავლების და ხარჯების ზუსტი დაგეგმარება და მათი ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა.

ოჯახის ბიუჯეტის შედგენა და ხარჯვა პიროვნების პასუხისმგებლობის ქვეშ ექცევა, ხოლო თვითმმართველობა ანგარიშვალდებულია საკუთარი მოქალაქეების წინაშე. გარდა ამისა, თვითმმართველობას აქვს ვალდებულება ზუსტად და რეგულარულად წარუდგინოს თავის მოქალაქეებს დეტალური ინფორმაცია მათი გადასახადების შეგროვებაზე და დახარჯვაზე.

საბოლოოდ, ბიუჯეტის გეგმის შედგენა, მიღება, განხორციელება და ანგარიშგება რეგულირდება საბიუჯეტო კანონმდებლობით.

საქართველოში საბიუჯეტო კოდექსი განასხვავებს სამი ტიპის ბიუჯეტს: საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს. თითოეულ ბიუჯეტს გააჩნია თავისი შემოსავლები და ხარჯები. ჩვენ თუ გვინდა მთლიანი შემოსავლების და ხარჯების დადგენა, მაშინ უნდა დაუმატოთ ერთმანეთს სამივე ტიპის ბიუჯეტი და მივიღებთ ზოგადად **კონსოლიდირებულ ბიუჯეტს**. მარტივად რომ წარმოვიდგინოთ იგივე სიტუაცია, როცა ოჯახის სამ წევრს მამას, დედას და შვილს აქვს საკუთარი შემოსავლები და ხარჯები, ოჯახის საერთო ფულადი ფონდის გაზრდა და შემცირება აღირიცხება სამივე წევრის (მამა, დედა და შვილი) ცალკეულ ბიუჯეტში. ოჯახის ცალკეულ წევრს გააჩნია საკუთარი შემოსავლები და ხარჯები. ამიტომაც, თუ გვინდა ვიცოდეთ მათი მთლიანი შემოსავლები და ხარჯები, უნდა შევკრიბოთ ისინი და მივიღებთ მთლიანად ოჯახის კონსოლიდირებულ ბიუჯეტს.

## 2. ადგილობრივი ბიუჯეტი და საბიუჯეტო პროცესი


### 2.1. ადგილობრივი ბიუჯეტის აუცილებელი კომპონენტები

ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების და საჭიროებების დაფინანსება ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის მეშვეობით. კანონმდებლობით, **ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტი** განმარტებულია, როგორც „ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) მიერ დამტკიცებული, ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა“. ანუ, ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტში აუცილებელია ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და საბიუჯეტო ნაშთის ცვლილების განსაზღვრა. საბიუჯეტო ნაშთის ცვლილება არის ბიუჯეტის ანგარიშზე შესაბამისი პერიოდისათვის არსებული ფულადი სახსრების გამოყენება ან დაგროვება.

### 2.2. საბიუჯეტო პროცესი

**საბიუჯეტო პროცესი** მოიცავს ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, წარდგენას, განხილვას, დამტკიცებას, დაზუსტებას, ბიუჯეტის შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს. მასთან მიმართებაში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით (საკრებულო) და აღმასრულებელ (გამგეობა) ორგანოებს შორის კომპეტენციები მკაფოდ არის გამიჯნული:

- ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს (გამგეობის) კომპეტენციაში შედის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის შედგენა, წარდგენა, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების პროექტების მომზადება და წარდგენა, ბიუჯეტის შესრულება და მისი ანგარიშების პროექტის შედგენა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) კომპეტენცია არის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის განხილვა, დამტკიცება, დამტკიცებულ ბიუჯეტში აღმასრულებელი ორგანოს მიერ წარდგენილი ცვლილებების შეტანა, ამ ბიუჯეტის შესრულების კონტროლი, შეფასება და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება.



### 2.3. საბიუჯეტო ვადები

საბიუჯეტო პროცესი იწყება ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე 10 თვით ადრე თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადებით და მთავრდება 2 წლის შემდეგ – ახალი საბიუჯეტო წლის მომდევნო წლის პირველ მარტს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მომზადებით და საკრებულოში წარდგენით. დროის ამ

შუალედში ხორციელდება სრული საბიუჯეტო პროცედურები: ბიუჯეტის პროექტის მომზადება, წარდგენა, განხილვა, დამტკიცება, შესრულება, ანგარიშგება და კონტროლი.

საბიუჯეტო კალენდარი მოქალაქეებს აძლევს საშუალებას მიიღონ ინფორმაცია საბიუჯეტო პროცესის ნებისმიერ ეტაპზე. **საბიუჯეტო კალენდარი** არის დროს პერიოდში დალაგებული საბიუჯეტო აქტივობები, რასაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ახორციელებენ. ის შემდეგი ეტაპებისა და განსახორციელებელი საქმიანობებისგან შედგება:

**საბიუჯეტო კალენდარი**

პერიოდი	პასუხისმგებელი პირი/უწყება	აქტიობა, რომელიც უნდა განხორციელდეს
<b>საბიუჯეტის წლის წინა წელი</b>		
ყოველი წლის 1 მარტიდან	გამგეობა	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით იწყებს მუშაობას, რისთვისაც გამოსცემს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს*
არაუგვიანეს 15 ივლისამდე	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითად საბიუჯეტო პარამეტრებს
არა უგვიანეს 5 ოქტომბრისა	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	აცნობებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით შესაბამისი ბიუჯეტისთვის გადასაცემი ტრანსფერებისა და ქონების გადასახადის სახით მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს
არა უგვიანეს 15 ნოემბრისა	გამგეობა	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტს წარუდგენს საკრებულოს და ფინანსთა სამინისტროს
არა უგვიანეს 15 ნოემბრისა	გამგეობა	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად წარუდგენს საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელიც მას განსახილველად წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს (საკრებულოს)
საკრებულოში წარდგენიდან 5 დღეში	საკრებულო	ბიუჯეტის პროექტს აქვეყნებს საჯარო განხილვისათვის. ამასთან, საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის პროექტს და იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ
არა უგვიანეს 25 ნოემბრისა	საკრებულოს თავმჯდომარე	შენიშვნების არსებობის შემთხვევაში ბიუჯეტის პროექტს შენიშვნებით უბრუნებს გამგებელს
არა უგვიანეს 10 დეკემბრისა	გამგეობა	ბიუჯეტის პროექტის იმავე ან შესწორებულ ვარიანტს წარუდგენს წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) თავმჯდომარეს
არა უგვიანეს 31 დეკემბრისა	თვითმმართველობის საკრებულო	ამტკიცებს ადგილობრივ ბიუჯეტს და აქვეყნებს მას საჯაროდ
<b>საბიუჯეტო წელი</b>		
ბიუჯეტის გამოქვეყნებიდან	თვითმმართველობის საფინანსო ორგანო	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ამზადებს ადგილობრივი თვითმმართველი

არა უგვიანეს 15 დღისა		ერთეულის ბიუჯეტის კვარტალურ ან/და ყოველთვიურ განწერას
ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში	თვითმმართველობის საფინანსო ორგანო	ამზადებს ანგარიშს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ჩვენებით
ყოველი კვარტალის დასრულებიდან 1 თვის ვადაში	თვითმმართველობის გამგეობა	საკრებულოს წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით**
<b>საბიუჯეტო წლის შემდეგი წელი</b>		
წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 2 თვისა	თვითმმართველობის საფინანსო ორგანო	ამზადებს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს
არა უგვიანეს 1 მაისისა	საკრებულო	საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და იღებს გადაწყვეტილებას წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ

\* აქტში განსაზღვრულია პრიორიტეტების შედგენისათვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები;

\*\* აღნიშნული გეგმა მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების (მათ შორის, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების), ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს<sup>1</sup> ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან, დაიცვან საბიუჯეტო ვადები და განახორციელონ შესაბამისი ქმედებები, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით. არასამთავრობო ორგანიზაციებს, მედიას, მოქალაქეებს და სხვა დაინტერესებულ აქტორებს უფლება აქვთ თვალყური ადევნონ საბიუჯეტო ვადებს, გამოითხოვონ შესაბამისი ინფორმაცია და მიმართონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს რეკომენდაციით.

### 3. ადგილობრივი ბიუჯეტის მომხმარებლები/მხარჯავი დაწესებულებები

ადგილობრივი ბიუჯეტის მომხმარებლები არიან ის ადგილობრივი სამსახურები და ორგანიზაციები, რომლებიც მეტწილად ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან ფინანსდებიან. კანონმდებლობის ენაზე, ბიუჯეტის მომხმარებლებს **მხარჯავი დაწესებულებები** ეწოდებათ. მაგალითად სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებები, მუნიციპალური სახანძრო უსაფრთხოების სამსახურები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები და სხვა. თუ ჩვენ ვიტყვით, რომ მაგალითად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 2013 წლისთვის 20 მილიონი

ლარია, ეს ნიშნავს, რომ იგი მოიცავს მოცემული მუნიციპალიტეტის ყველა მომხმარებლისთვის განკუთვნილ ჯამურ ხარჯებს.

**მუნიციპალური ბიუჯეტიდან შესაძლოა დაფინანსდეს მხოლოდ შემდეგი სამსახურები და პირები:**

- საკრებულოს თანამდებობის პირების შრომის ანაზღაურება და აპარატის შენახვის ხარჯები;
- მუნიციპალური სამსახურები (საფინანსო, ეკონომიკური, ინფრასტრუქტურის და სხვა);
- მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი ორგანიზაციები და საწარმოები.

ადგილობრივი ბიუჯეტის მომხმარებლებთან რიცხვს მიეკუთვნება ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ისეთი ორგანიზაციები, როგორებიც არიან არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირები (ააიპ) და საჯარო სამართლის იურიდიული პირები (სსიპ). ესენი არიან საჯარო სამართლის პირები, რომელთა მმართველობაზე ადგილობრივ ხელისუფლებას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს და ნაწილობრივ ფინანსდებიან ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ნაწილობრივ საკუთარი შემოსავლებიდან. მათი შემოსავლები და ხარჯები არ არის ადგილობრივი ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილი, თუმცა ბიუჯეტში ჩანს ის ხარჯები, რაც წლის განმავლობაში მათთვის არის განკუთვნილი. მათ დამხმარე ეკონომიკური საქმიანობის წარმოების და ამით დამატებითი შემოსავლების მიღების საშუალებაც გააჩნიათ.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან შესაძლოა ფინანსდებოდეს ასევე მუნიციპალური შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები (შპს), ანუ სამეწარმეო სამართლის პირები. ისინი შექმნილი არიან მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით და მათი უმთავრესი ფუნქცია მუნიციპალური სერვისების მიწოდებაა (მაგ. დასუფთავება, გარე განათება, საგზაო სამუშაოები და სხვა). თუმცა, მათ სხვა ეკონომიკური საქმიანობის წარმოება და ამით დამატებითი შემოსავლების მობილიზება შეუძლიათ.

როგორც ვხედავთ, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ააიპ-ებს, სსიპ-ებს და შპს-ებს დამხმარე სამუშაოების წარმოება და ამით დამატებითი შემოსავლების მიღების უფლება გააჩნიათ. მათ მიერ მიღებული შემოსავლები არ აღირიცხება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, ვინაიდან გააჩნიათ ცალკე ანგარიშები კომერციულ ბანკებში. ისინი მიღებულ შემოსავლებს ხარჯავენ მათი ფინქციების შესასრულებლად. ამასთან, ბიუჯეტიდან ამავე ფუნქციის შესასრულებლად მათ დამატებითი შემოსავლები აქვთ განსაზღვრული. ამიტომაც, ბიუჯეტში აღირიცხება მხოლოდ ის ხარჯები, რომლებსაც მათ მუნიციპალიტეტი განუსაზღვრავს წლის განმავლობაში.

**4. ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები**



ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის **საბიუჯეტო შემოსულობებს** მიეკუთვნება წლის განმავლობაში მისაღები ფულადი სახსრების ერთობლიობა:

- **შემოსავლები** (გადასახადები, ცენტრალური ხელისუფლებიდან მიღებული ტრანსფერები და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემოსავლები);
- **არაფინანსური აქტივების კლება** (არაფინანსური აქტივების ოპერაციებიდან მიღებული სახსრები);
- **ფინანსური აქტივების კლება** (ფინანსური აქტივებთ ოპერაციებიდან მიღებული სახსრები, ნაშთის გამოყენების გარდა);
- **ვალდებულებების ზრდა** (ვალდებულებების აღების შედეგად მიღებული სახსრები).

#### 4.1. შემოსავლები

**შემოსავლები** იყოფა საკუთარ და არასაკუთარ შემოსულობებად. **საკუთარ შემოსულობებს** განეკუთვნება ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები, გათანაბრებითი ტრანსფერი<sup>ii</sup> და კანონმდებლობით განკუთვნილი სხვა შემოსულობები. არასაკუთარ შემოსულობებს განეკუთვნება სპეციალური და მიზნობრივი ტრანსფერები, ასევე ცენტრალური ხელისუფლებიდან მიღებული სხვა შემოსულობები. ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს საკუთარი შემოსულობების ხარჯვა შეუძლიათ განახორციელონ დამოუკიდებლად და საკუთარი შეხედულებისამებრ, მაშინ როცა არასაკუთარი შემოსულობების ხარჯვა უნდა შეათანხმონ ცენტრალურ ხელისუფლებასთან.

ქვემოთ მოცემულია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსავლების სახეები. პროცენტული მაჩვენებელი მიუთითებს იმაზე, თუ შემოსავლის მოცემული სახეობის რა პროცენტი რჩება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში (დანარჩენი რასაკვირველია მიემართება სახელმწიფო ბიუჯეტში).

**შემოსავლების განაწილება სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტებს შორის**

შემოსავლის სახეობა	სახელმწ. ბიუჯეტი	თვითმმ. ერთეულის ბიუჯეტი
<b>ნაწილი 1. ადგილობრივი გადასახადები</b>		
ქონების გადასახადი		100.0
<b>ნაწილი 2. ადგილობრივი მოსაკრებლები</b>		
მოსაკრებელი <sup>iii</sup> დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის		100.0
მშენებლობის დაწყების მოსაკრებელი		100.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი		100.0
მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის		100.0
კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის მოსაკრებელი		100.0

<b>ნაწილი 3. სხვა შემოსავლები</b>		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი		100.0
შემოსავლები იმ სახელმწიფო აქტივების გაყიდვიდან, რომლებიც მდებარეობს თვითმმართველობის ტერიტორიაზე	65.0	35.0
დივიდენდები ადგილობრივი ხელისუფლების წილობრივი მონაწილეობით მოქმედი და კერძო საწარმოების მოგებიდან		100.0
შემოსავალი სახელმწიფო მიწის იჯარაში და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვ.) გადაცემიდან, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების სარგებლობაშია		100.0
შემოსავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული მიწის მართვაში (უზუფრუქტი <sup>iv</sup> , ქირავნობა, იჯარა და სხვა) გადაცემიდან		100.0
სანებართვო მოსაკრებელი, გადახდილი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100.0
სახელმწიფო ბაჟი, გადახდილი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100.0
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი, გადახდილი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100.0
შემოსულობა გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემიდან		100.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი, გადახდილი ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი სამსახურების მიერ	90.0	10.0
შემოსავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული ქონების (გარდა მიწისა) იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვ.) გადაცემიდან		100.0
შემოსავალი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის გადახდილი ჯარიმებიდან	60.0	40.0
შემოსულობა <sup>v</sup> ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემიდან		100.0
შემოსავალი სხვა ჯარიმებიდან და საურავებიდან, გადახდილი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100.0
შემოსავალი მიმდინარე ტრანსფერებიდან, შემოწირულებებიდან და ქველმოქმედებიდან		100.0
შემოსავალი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას, სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურებიდან		100.0
შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული ძირითადი აქტივების გაყიდვიდან		100.0
შემოსულობა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიაზე	50%	50%
შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან		100.0
შემოსულობა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო		65%

დანიშნულების მიწის გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიაზე		
შემოსულობა ფინანსური აქტივებიდან და ვალდებულებებიდან, განკუთვნილი ადგილობრივი თვითმმართველობისათვის		100.0

ადგილობრივი გადასახადების სახით საქართველოში არსებობს მხოლოდ ერთი - ქონების გადასახადი. აღნიშნული გადასახადი 100%-ით ირიცხება (იხ. ცხრილის 1-ლი ნაწილი) იმ ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტში, რომელს ტერიტორიაზეც მდებარეობს ქონება (მიწა, შენობა-ნაგებობა და ა.შ.). ქონების გადასახდის ზღვრული განაკვეთები (ზედა და ქვედა ზღვრები) განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსით, რომლის ფარგლებშიც საკრებულო ადგენს კონკრეტულ განაკვეთს.

ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ასევე ხუთი **ადგილობრივი მოსაკრებელი**, რომლებიც სრულად ირიცხება ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტში (იხ. ზემოთ მოცემული ცხრილი, მე-2 ნაწილი).

თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების ამოღებას უზრუნველყოფენ საგადასახადო ორგანოები - შემოსავლების სამსახურის ადგილობრივი ინსპექციები, ხოლო არასაგადასახადო შემოსავლების, ადგილობრივი მოსაკრებლებისა და კაპიტალური შემოსავლების ამოღებას – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის შესაბამისი სამსახურები.

**გათანაბრებითი ტრანსფერი** მიეკუთვნება ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარ შემოსულობებს, რომელიც არის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილებათა განხორციელებისთვის გამოყოფილი. იგი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სპეციალური ფორმულით გადაეცემა ადგილობრივ თვითმმართველობას და მისი გამოყენების მიმართულებებს დამოუკიდებლად განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო (საკრებულო). საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გათანაბრებითი ტრანსფერის მოცულობა ყოველწლიურად ეცნობება ადგილობრივ თვითმმართველობას.

**სხვა სახის შემოსავლებში** შედის სხვადასხვა ისეთი სახის შემოსავლები, რაც განსაზღვრულია ადგილობრივი თვითმმართველობისთვის და ჩამოთვლილია ზემოთ მოცემული ცხრილის მე-3 ნაწილში. თუმცა, ადგილობრივ თვითმმართველობას შესაძლოა არ გააჩნდეს ყველა სახის შემოსავალი, რომლებიც ცხრილშია ჩამოთვლილი. ამიტომ, ის ბიუჯეტში შეიტანს მხოლოდ იმას, რისი მიღების შესაძლებლობაც (პოტენციალიც) გააჩნია.

**მიზნობრივი ტრანსფერი** განეკუთვნება არასაკუთარ შემოსულობებს. იგი გამოიყოფა ცენტრალური ხელისუფლებიდან ადგილობრივ თვითმმართველობაზე დელეგირებული უფლებამოსილებების დასაფინანსებლად და მის საპროგნოზო პარამეტრებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცნობებს.

## 4.2. სხვა სახის შემოსულობები

არაფინანსური აქტივები როგორც წესი ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებაა და იგულისხმება როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონება. მათი კლებით მიღებულ შემოსულობებში იგულისხმება პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლები. არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლით შესაძლებელია განისაზღვროს, თუ რამდენად დიდია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონებაზე მოთხოვნა. ბიუჯეტის კლასიფიკაციის მიხედვით, არაფინანსურ აქტივებს განეკუთვნება: ძირითადი აქტივები, მატერიალური მარაგები, ფასეულობები და არაწარმოებული აქტივები.

**ფინანსური აქტივების კლებაში** იგულისხმება წინა წელს მორჩენილი თანხები და სხვა ფასიანი ქაღალდების სახით მიღებული სახსრები. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, ფინანსური აქტივებია: სესხები, აქციები, წარმოებული ფინანსური აქტივები, დებიტორული დავალიანებები, ვალუტა და დეპოზიტები.

**ვალდებულებების ზრდა** მოიცავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ აღებული ვალდებულებების (შიდა და საგარეო სესხები) ჯამს. ვინაიდან აღებული სესხები ბიუჯეტის შემოსავლებში აღირიცხება, ის ზრდის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს, მაგრამ ამავდროულად იზარდება მუნიციპალიტეტის ვალდებულებები.

## 5. ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები

### 5.1. ბიუჯეტის გადასახდელები და ბიუჯეტის დაბალანსება

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელებს განეკუთვნება ბიუჯეტიდან გასაწევი ყველა ის ხარჯი, რომელიც სხვადასხვა ვალდებულებების გასტუმრებას უნდა მოხმარდეს. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით გადასახდელების სახეებია:

- **ხარჯები** (ბიუჯეტიდან გასაწევი ყველა ვალდებულების ჯამი);
- **არაფინანსური აქტივების ზრდა** (არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები);
- **ფინანსური აქტივების ზრდა** (ფინანსური აქტივებით ოპერაციებისთვის მიმართული სახსრები, ნაშთის დაგროვების გარდა);
- **ვალდებულების კლება** (ვალდებულებების ძირითადი ნაწილის დაფარვისთვის მიმართული სახსრები).

სხვაობა ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებს შორის იგივეა, რაც ბიუჯეტის **სალდო**. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დადებითი საოპერაციო სალდო გულისხმობს შემოსავლების ხარჯებზე გადამეტებას. საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით საოპერაციო სალდოსა და არაფინანსური აქტივების ცვლილებას შორის სხვაობა არის **მთლიანი სალდო**. დადებითი

მთლიანი სალდო არის ბიუჯეტის პროფიციტი, ხოლო უარყოფითი მთლიანი სალდო - დეფიციტი.

ბიუჯეტის პროექტის შედგენისას, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო (გამგეობა) ვალდებულია დააბალანსოს ბიუჯეტი. ამისათვის პირველ რიგში განისაზღვრება შემოსულობების მოცულობა, ხოლო შემდეგ ადეკვატურად - ვალდებულებების მოცულობა. დაბალანსებისას აუცილებელია გათვალისწინებული იქნას აქტივების და ვალდებულებების მოცულობა (იხ. ბიუჯეტის ბალანსის ფორმა).

**ბიუჯეტის ბალანსის ფორმა**

შემოსავლები
-
ხარჯები
=
საოპერაციო სალდო
+
არაფინანსური აქტივების კლება
-
არაფინანსური აქტივების ზრდა
=
მთლიანო სალდო
+
ფინანსური აქტივების კლება
-
ფინანსური აქტივების ზრდა
+
ვალდებულებების ზრდა
-
ვალდებულებების კლება
=
ბალანსი (+/-)

**5.2. ხარჯების გაწევა უფლებამოსილებების შესაბამისად**

ადგილობრივ თვითმმართველობებს შეუძლიათ გაწიონ ხარჯები მხოლოდ საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების დასაფინანსებლად.

**საკუთარი უფლებამოსილებები** მოიცავს ისეთ უფლებამოსილებებს რომლების განხორციელებაზე ხარჯების გაწევა ადგილობრივ თვითმმართველობას ცენტრალური ხელისუფლებასთან დამოუკიდებლად შეუძლია. ესენია:

- თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა და დამტკიცება, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა და შეფასება;
- ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება, მათი განაკვეთების დადგენა კანონით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობების ფარგლებში;
- ინვესტირების მიმართულებების, საკუთარი, აგრეთვე ერთობლივი მიზნობრივი პროგრამების განსახორციელებლად საჭირო სახსრების განსაზღვრა და თვითმმართველ ერთეულში ინვესტიციების ხელშეწყობა; ხელშეკრულების დამტკიცება ერთობლივი პროექტების განხორციელების მიზნით, სხვა თვითმმართველ ერთეულთან საბიუჯეტო სახსრების გაერთიანების შესახებ;
- ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღება;
- დასაქმების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამების დამტკიცება;
- თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა; თვითმმართველი ერთეულის ქონების ფლობის, განკარგვისა და ქონებით სარგებლობის წესების დადგენა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, იურიდიული პირების შექმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;
- თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების მართვა და განკარგვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- მიწათსარგებლობის დაგეგმვა, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის ზონებად (გამწვანების, დასვენების, სამრეწველო, სავაჭრო და სხვა სპეციალური ზონები) დაყოფა, მათი საზღვრების დადგენა და შეცვლა;
- ადგილობრივი მნიშვნელობის ტყისა და ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის რესურსების მართვა;
- მშენებლობის ნებართვის გაცემა, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის ფარგლებში მიმდინარე მშენებლობაზე ზედამხედველობა;
- ადგილობრივი სამგზავრო გადაყვანის რეგულირება: მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურებისა და ადგილობრივი გადაზიდვების წესების, მარშრუტებისა და გრაფიკების განსაზღვრა და შესაბამისი ნებართვების გაცემა;
- გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება;
- გარე რეკლამის განთავსების რეგულირება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- ავტომატური პარკირების ადგილების განსაზღვრა და პარკირების წესების დადგენა;
- დასახლებებში ქუჩების დასუფთავება, გარე განათება, სანიაღვრე მეურნეობის, კანალიზაციის, ნაგავსაყრელების მოწყობა, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და

უტილიზაციის სამუშაოთა წარმოების დაგეგმვა და განხორციელება ან მათ შესრულებაზე მუნიციპალური შესყიდვის ორგანიზება;

- სასაფლაოების მოვლა-პატრონობა;
- თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობა და გამწვანება, შესაბამისი პროგრამების დამტკიცება, გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელება ან მათ შესრულებაზე მუნიციპალური შესყიდვის ორგანიზება;
- ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვა, მშენებლობა და განვითარების უზრუნველყოფა;
- თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა, შესაბამისი ნორმებისა და წესების განსაზღვრა;
- მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცება;
- თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობისა და საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამების დამტკიცება;
- ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების, მუზეუმების, თეატრების, გამოფენების, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების საქმიანობის ორგანიზება;
- მუნიციპალური არქივის შექმნა და საარქივო მომსახურების ტარიფების დადგენა;
- სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით შექმნა და მათი წესდებების დამტკიცება;
- თვითმმართველი ერთეულის მუნიციპალური პროგრამებისა და გეგმების შემუშავება და დამტკიცება;
- თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში მუნიციპალური რესურსების მობილიზება, შესაბამისი ღონისძიებების (ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ჯანმრთელობის რისკფაქტორების იდენტიფიცირება) შემუშავება, განხორციელება და ამის თაობაზე მოსახლეობის ინფორმირება;
- თვითმმართველი ერთეულის მუნიციპალური სახანძრო უსაფრთხოებისა და სამაშველო ღონისძიებების უზრუნველყოფა;
- თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და საგზაო მოძრაობის დაგეგმარება;
- შეკრებების, მიტინგების, დემონსტრაციების ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- ადგილობრივი შესყიდვების განხორციელება;
- ქუჩებისა და მოედნების სახელდება და ნუმერაცია.

**დელეგირებული უფლებამოსილება** არის ისეთი უფლებამოსილება, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე განსახორციელებლად გადაეცემა თვითმმართველ ერთეულს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 15 მაისამდე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს აცნობებს მომდევნო წლისთვის დელეგირებული უფლებამოსილებების სახეებს, ღონისძიებებს, მომსახურების მოცულობებსა და მიზნობრივი ტრანსფერის ძირითად პარამეტრებს. ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანომ უნდა მოამზადოს ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტში დელეგირებული უფლებამოსილებების პროგრამების გაანგარიშებები და წარუდგინოს 1 ივნისამდე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს. ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო 1 სექტემბრამდე დელეგირებული უფლებამოსილებების პროგრამებსა და დელეგირების ხელშეკრულების პროექტებს წარუდგენს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო იხილავს დელეგირებული უფლებამოსილების პროგრამებს და ხელშეკრულების პროექტებს.

2013 წლისთვის ადგილობრივ თვითმმართველობებზე დელეგირებული უფლებამოსილებებია: „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“, „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“, „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“, „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილებების, აგრეთვე სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების დაფინანსება.

### 5.3. საბიუჯეტო კლასიფიკაცია

**საბიუჯეტო კლასიფიკაცია** - ეს არის მსგავსი შინაარსის და მიმართულების ხარჯების ერთად დაჯგუფება. ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის გადასახდელები აუცილებელია შედგეს ეკონომიკური და ფუნქციური კლასიფიკაციის მიხედვით.

თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტის ხარჯები **ეკონომიკური კლასიფიკაციის** მიხედვით მოიცავს: შრომის ანაზღაურებას, საქონელსა და მომსახურებას, ვალის მომსახურების პროცენტს, გრანტებს, სოციალურ დახმარებს და სხვა ხარჯებს.

ხარჯების და არაფინანსური აქტივების **ფუნქციური კლასიფიკაციის** მიხედვით, ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილებები შეგვიძლია შემდეგ ფუნქციებად დავაჯგუფოთ:

- **საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება.** ამ მომსახურების სფეროში შედის მუნიციპალიტეტის, ასევე ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის სხვა ორგანოების ადმინისტრაციული და შესაბამისი აპარატის შენახვისა და ფუნქციონირების ხარჯები;
- **თავდაცვა.** თვითმმართველ ერთეულებზე დელეგირებულია ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილება, კერძოდ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის ორგანიზირება და წვევამდელთა სამედიცინო შემოწმება. ეს თანხა მიზნობრივი ტრანსფერის სახით მიღებული ფულით უნდა დაფინანსდეს;
- **საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება.** ამ ფუნქციიდან თვითმმართველ



ერთეულის უფლებამოსილებას მიეკუთვნება მხოლოდ სახანძრო-სამაშველო სამსახურის დაფინანსება;

- **ეკონომიკური საქმიანობა.** ამ სფეროს ჩამონათვალთან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან თანხები შეიძლება დაიხარჯოს მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შეკეთებასა და დაგებაზე;
- **გარემოს დაცვა.** ამ მიმართულებით თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან ფინანსდება ნარჩენების შეგროვება-გატანასთან დაკავშირებული ღონისძიებები;
- **საბინაო-კომუნალური მეურნეობა.** ეს სფერო მოიცავს: ბინათმშენებლობას, წყალმომარაგებას, გარე განათებას და კომუნალური მეურნეობის განვითარებას. ამ ფუნქციის განხორციელება მთლიანად თვითმმართველი ერთეულის პრეროგატივაა;
- **დასვენება, კულტურა და რელიგია.** ძირითადად მოიცავს მომსახურებას დასვენების, სპორტის და კულტურის სფეროში, ტელე-რადიო მაუწყებლობას და საგამომცემლო საქმიანობას;
- **განათლება.** ამ სფეროში თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებაა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ჩამოყალიბება და მათი დაფინანსება. ამ მუხლით ხდება ასევე სკოლის გარეშე სასწავლო დაწესებულებების დაფინანსებაც;
- **სოციალური დაცვა.** თვითმმართველი ერთეულები ამ კუთხით ახორციელებენ მცირე ზომის სოციალურ პროგრამებს, როგორც არის ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვა;
- **ჯანმრთელობის დაცვა.** ეს სფერო ძირითადად მოიცავს სპეციალური მოწყობილობების შეძენას, ამბულატორიულ და სავადმყოფოების მომსახურებას, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურებას, სასწრაფო დახმარების სამსახურების ჩათვლით.

## 6. მოქალაქეების ჩართულობა ბიუჯეტის ფორმირების პროცესში და გამჭვირვალობა

სამოქალაქო საზოგადოების და მოქალაქეების უშუალო ჩართულობა ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმულირებაში მეტად მნიშვნელოვანია, რათა მაქსიმალურად მოხდეს ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინება.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, საბიუჯეტო პროცესი იწყება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებით, რომელიც არის ადმინისტრაციული ერთეულების განვითარების ძირითადი გეგმა. ადგილობრივი თვითმმართველობის პრიორიტეტების დოკუმენტის მიღება მოქალაქეებს შეუძლიათ მუნიციპალიტეტის გამგეობაში.

მოქალაქეებს საბიუჯეტო პრიორიტეტების დადგენისას შეუძლიათ ტერიტორიული წარმომადგენელს (დეპუტატი საკრებულოში ან ტერიტორიული ერთეულის რწმუნებული) მიაწოდონ ინფორმაცია თავიანთი საჭიროებების შესახებ; მათ ასევე შეუძლიათ დაესწრონ ბიუჯეტის პროექტის განხილვას საკრებულოში და გამოთქვან შენიშვნები პრიორიტეტებთან

მიმართებაში; მათი უფლებაა ასევე პეტიციის შეტანა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში მათთვის საჭირობოროტო საკითხებთან დაკავშირებით.

**მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად**, ადგილობრივი თვითმმართველობა ვალდებულია ითანამშრომლოს მათთან, დეპუტატებისა და რწმუნებულების მეშვეობით შეადგინოს პრიორიტეტები და მიაწოდოს ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს.

**ბიუჯეტის გამჭვირვალობისთვის** კი ადგილობრივი თვითმმართველობა ვალდებულია მაქსიმალურად დეტალურად გაწეროს ბიუჯეტი, გამოაქვეყნოს ბიუჯეტის პროექტი დადგენილ ვადებში, ასევე გამოაქვეყნოს მიღებული/დამტკიცებული ბიუჯეტი და გასცეს ბიუჯეტთან დაკავშირებული ნებისმიერი საჯარო ინფორმაცია.

## 7. პროგრამული ბიუჯეტის საფუძვლები

### 7.1. პროგრამული ბიუჯეტის არსი

2013 წლიდან ადგილობრივი ბიუჯეტები პროგრამული ბიუჯეტის ფორმით დგება. ეს მნიშვნელოვანი სიახლეა ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის და მიზნად ისახავს საბიუჯეტო ხარჯების მეტ დეტალიზაციას და გამჭვირვალობას, ვიდრე ეს სადღეისოდ არის და გასულ წლებში იყო.

**პროგრამული ბიუჯეტი** არის მხარჯავი დაწესებულების (გამგეობის სამსახურები, არასამეწარმეო იურიდიული პირები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები და მუნიციპალური შპს-ები) მიერ დასახული პრიორიტეტების მისაღწევად განსახორციელებელი პროგრამების, პროექტების, ღონისძიებებისა და მათი ბიუჯეტების მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორთა ერთობლიობა.

**პროგრამული ბიუჯეტი უზრუნველყოფს შემდეგი ამოცანების შესრულებას:**

- გვიჩვენებს დასაფინანსებელ სხვადასხვა ადგილობრივ საჭიროებებს (სერვისებს);
- გეგმავს და დროში ანაწილებს განსახორციელებელ საქმიანობებს;
- ადარებს ბიუჯეტის მოთხოვნებს გაწეულ ხარჯებთან;
- ფოკუსირებას ახდენს მოქალაქეთა მონაწილეობასა და ჩართულობაზე;
- შედეგად მოაქვს უფრო გამჭვირვალე ბიუჯეტის დოკუმენტი.

**პროგრამული ბიუჯეტის ძირითადი უპირატესობა** ტრადიციული ორგანიზაციული სტრუქტურის მქონე ბიუჯეტთან შედარებით, იმაში მდგომარეობს, რომ პროგრამული ბიუჯეტი საშუალებას იძლევა დაგეგმვის პროცესიდანვე ბიუჯეტი ორიენტირებული იყოს შედეგებზე. პროგრამულ ფორმატში ნათელია მიზეზ-შედეგობრივი კავშირი კონკრეტულ ღონისძიებაში ჩადებულ ფინანსურ რესურსებსა და მიღებულ შედეგებს შორის, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსების ეფექტურად გამოყენების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

ასევე, პროგრამული ბიუჯეტი საშუალებას იძლევა მთელი ბიუჯეტი დავინახოთ მისი დაფინანსებით გასატარებელი ძირითადი პროგრამების და მათი შედეგების თვალსაზრისით და არა მხოლოდ ორგანიზაციულ კრილში.

**პროგრამა** წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პრიორიტეტის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით და ხორციელდება გრძელვადიან პერიოდში ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად.

პროგრამულ ბიუჯეტში მოცემული თითოეული პროგრამა შემდეგი ინფორმაციის მომცველი უნდა იყოს:

- ✓ პროგრამული კლასიფიკაციის კოდი;
- ✓ პროგრამის დასახელება;
- ✓ პროგრამის აღწერა;
- ✓ პროგრამაში შემავალი ქვეპროგრამების და ღონისძიებების აღწერა;
- ✓ პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო ან/და შუალედური შედეგი (შესაბამისად, შესრულების ინდიკატორების ჩათვლით).

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამისათვის აუცილებელია შესაბამისი წლის ბიუჯეტის კანონით გამოყოფილი იყოს ასიგნებები და ჰქონდეს შესაბამისი პროგრამული კოდი.

უმეტეს შემთხვევაში პროგრამები უნდა იყოს გრძელვადიანი და მუდმივი, თუმცა, შესაძლებელია, სპეციფიკიდან გამომდინარე, არსებობდეს პროგრამები, რომლებიც განხორციელდება კონკრეტული წლის განმავლობაში.

## 7.2. მიზნობრივი პროგრამის სახეობები

პროგრამა რამდენიმე ტიპის შეიძლება იყოს, მაგრამ ყველა მათგანი უნდა წარმოადგენდეს იმ ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც ემსახურებიან საერთო საბოლოო შედეგების მიღებას და მას უნდა ჰქონდეს მიზანი და ბიუჯეტი. ადგილობრივ ბიუჯეტში არსებობს შემდეგი სახის მიზნობრივი პროგრამები:

- **მართვის და რეგულირების** – პროგრამა განეკუთვნება ამ ტიპს, თუ იგი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის გამართულ ფუნქციონირებას. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მართვისა და რეგულირების ტიპის პროგრამას წარმოადგენს საკრებულოს, ასევე მერიის დაფინანსება და აღნიშნული პროგრამის აღწერა სავალდებულო არ არის, ვინაიდან მასში უმეტეს შემთხვევებში ერთიანდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციონირების ხარჯები, სარეზერვო ფონდი, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა, ასევე მსგავსი შინაარსის სხვა ღონისძიებები. მიუხედავად ამისა, სასურველია დანართში წარმოდგენილი იყოს

ინფორმაცია, ვის მიმართ არსებული ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისთვისაა გათვალისწინებული თანხები, რა ღონისძიებების დასაფინანსებლად იქნა აღებული სესხი, რომლის ფარგლებშიც წარმოქმნილია ვალდებულებები და სხვა;

- **მომსახურების მიწოდების** – ამ ტიპის პროგრამა ორიენტირებულია კონკრეტულ გრძელვადიან შედეგებზე ან/და ემსახურება მუდმივ მიზანს. ასეთ პროგრამებში ერთიანდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც უშუალოდ მომსახურებას უწყევს ბენეფიციარს და არ ახდენს მის სუბსიდირებას. მისი ქვეპროგრამებისთვის მოკლევადიანი შედეგები განისაზღვრება კონკრეტული რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით. ასეთ შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის დაფინანსებით ხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომელთა ბენეფიციარებიც პირდაპირ მოსახლეობა ან მათი მომსახურე არამომგებიანი დაწესებულებებია;
- **სუბსიდირების** – მსგავსი ტიპის პროგრამების ქვეპროგრამები და ღონისძიებები მიზნად ისახავენ სხვადასხვა სოციალური ფენის ან ობიექტების სუბსიდირებას, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მხრიდან დახმარების და თანამონაწილეობის სახით. სუბსიდირების პროგრამების ქვეპროგრამების შეფასების ინდიკატორები ასევე გამოსახება რაოდენობრივ მაჩვენებლებში, ხოლო პროგრამის საბოლოო შედეგი ხშირ შემთხვევაში იქნება მოსახლეობის გარკვეული ფენის მდგომარეობის ან გარკვეული სფეროს მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების გამოხატულება, რომელიც ასევე შეფასდება სათანადო ინდიკატორებით;
- **ინფრასტრუქტურული** – აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ქვეპროგრამები ძირითად ემსახურება სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურის განვითარებას, მშენებლობას, რეაბილიტაციას ან აღჭურვას. პროგრამის შუალედური შედეგი უმეტეს შემთხვევაში იქნება მსხვილი ობიექტის და ობიექტთა ჯგუფის გამართული ინფრასტრუქტურა, ხოლო საბოლოო შედეგი ის ეფექტი, რასაც აღნიშნული ინფრასტრუქტურა ემსახურება. მსგავსი პროგრამების შეფასების ინდიკატორების უმეტესობის გამოსახვა შესაძლებელია რაოდენობრივ მაჩვენებლებში.

### 7.3. პროგრამული ბიუჯეტის პრაქტიკული შედეგების გზები

პროგრამული ბიუჯეტის შედეგამდე, უნდა შედგეს ადგილობრივი თვითმმართველობის პრიორიტეტების დოკუმენტი (როგორც ეს 2.3 თავში არსებულ ცხრილშია მოცემული). ამის შემდეგ კი იწყება თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადება. ბიუჯეტის პროექტი აუცილებელია მოიცავდეს შემდეგ სამ დანართს:

- **დანართი №1. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები და მარეგულირებელი ნორმები.** ამ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, სადაც მონაცემები წარმოდგენილი იქნება როგორც დასაგეგმი, ასევე გასული და მიმდინარე წლებისათვის; შემდგომ მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია

საბიუჯეტო კლასიფიკაციის ძირითადი კატეგორიების მიხედვით შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ; ასევე მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსავლების შესახებ, მათ შორის, გადასახადების, გრანტების და სხვა შემოსავლების ჩაშლა ქვეკატეგორიების მიხედვით; შემდგომ წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ბიუჯეტის ხარჯების, არაფინანსური აქტივების ზრდის და კლების აგრეგირებული მაჩვენებლების შესახებ, ასევე, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია; შემდგომ ნაწილში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ზრდის და კლების შესახებ; ბოლოს წარმოდგენილი უნდა იყოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის მარეგულირებელი ნორმები, ანუ ის ძირითადი დებულებები, რომელიც აუცილებელია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის აღსრულებისათვის, მათ შორის, სარეზერვო ფონდის მოცულობა და მისი ხარჯვის წესი;

- **დანართი №2. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები.** აღნიშნულ დანართში წარმოდგენილი უნდა იყოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების, ასევე მათ ფარგლებში შემავალი პროგრამების და ქვეპროგრამების მოკლე აღწერა და მიზანი. გასათვალისწინებელია, რომ აღწერა მოცემული უნდა იყოს ყველა იმ პროგრამასა და ქვეპროგრამაზე, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ასიგნებებში წარმოდგენილი იქნება ცალკე პროგრამული კოდით;
- **დანართი №3. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ასიგნებები.** აღნიშნულ დანართში წარმოდგენილი უნდა იყოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების, მათ ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების და ქვეპროგრამებისათვის გათვალისწინებული ასიგნებები. ასიგნებების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ასევე გასული და მიმდინარე წლებისათვის, დასაგეგმი წლის ბიუჯეტისათვის განსაზღვრული პროგრამული კლასიფიკაციის შესაბამისად.

ძირითადი პროგრამების ჩამონათვალი და პროგრამული ბიუჯეტის ნიმუში მოცემულია ქვემოთ, რაც შემოთავაზებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ (თუმცა, ადგილობრივ თვითმმართველობას შეუძლია საკუთარი საჭიროებისამებრ განსხვავებული პროგრამებიც ჰქონდეს).

**პროგრამული ბიუჯეტის ნიმუში**

<b>წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება</b> ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკრებულო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის გამგეობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა მაჟორიტარი დეპუტატის მომსახურების ხარჯი სხვა ღონისძიებები	
<b>პრიორიტეტი - 1.</b>	<b>ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია</b>
პროგრამა – 1.1.	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის კეთილმოწყობის ღონისძიებები „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები
პროგრამა – 1.2.	
პროგრამა – 1.3.	
პროგრამა – 1.4.	
<b>პრიორიტეტი - 2.</b>	<b>განათლება</b>
პროგრამა – 2.1.	სკოლამდელი განათლება
<b>პრიორიტეტი - 3.</b>	<b>კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი</b>
პროგრამა – 3.1.	სპორტის განვითარების ხელშეწყობა კულტურის განვითარების ხელშეწყობა საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა
პროგრამა – 3.2.	
პროგრამა – 3.3.	
პროგრამა – 3.4.	
<b>პრიორიტეტი - 4.</b>	<b>მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზურნველყოფა</b>
პროგრამა - 4.1.	ჯანდაცვის პროგრამები
პროგრამა – 4.2.	სოციალური პროგრამები

#### 7.4. პროგრამული ბიუჯეტის შეფასება და ანგარიშგება

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წლიურ ბიუჯეტში გაწერილი უნდა იყოს დაგეგმილი პროგრამების და ქვეპროგრამების აღწერა და მათი მიზნები, ხოლო შუალედური და საბოლოო შედეგების აღწერა მოცემული უნდა იყოს პრიორიტეტების დოკუმენტში.

პროგრამული ბიუჯეტის შედგენისას მხარჯავი დაწესებულებების მხრიდან დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს **საბოლოო და შუალედური შედეგების** სწორად ჩამოყალიბებას. შედეგი უნდა ასახავდეს იმ სამომავლო მდგომარეობას, რისთვისაც ხორციელდება პროგრამა და შესაბამისი ქვეპროგრამა. შედეგები ჩამოყალიბებული უნდა იყოს ნათლად და კონკრეტულად, ხოლო მისი მიღწევის გზები წარმოდგენილი უნდა იყოს პროგრამის (ქვეპროგრამის/ღონისძიების) აღწერაში.

შედეგების მიღწევა აუცილებელია შევაფასოთ წინასწარ შემუშავებული **ინდიკატორების** მეშვეობით. ინდიკატორი უნდა ზომავდეს მიზანს, რომელიც არის რეალური და მიღწევადი. შეფასების ინდიკატორების შემუშავებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ იყოს:

- **სასარგებლო** – პოლიტიკის განმახორციელებლებს უნდა აწვდიდეს შინაარსობრივ და ღირებულ ინფორმაციას;
- **შედეგზე ორიენტირებული** – უნდა გამოხატავდეს დასახულ შედეგთან მიმართებას;
- **ნათელი და გაზომვადი** – იოლად აღქმადი და გასაგები ენით აღწერილი, რათა ყველა დაინტერესებულმა მხარემ შეძლოს მისი გაგება, გამოყენება და მათი მეშვეობით მიღწეული შედეგების შეფასება;
- **შესაბამისი და მიღწევადი** – ინდიკატორი უნდა იქნეს შერჩეული მოსალოდნელი შედეგის შესაბამისად, ადეკვატურად უნდა ზომავდეს მას და უნდა იყოს რეალისტური, რათა არ მოხდეს მოსალოდნელი შედეგის ზედმეტად ოპტიმისტური ან პირიქით ზედმეტად პესიმისტური შეფასება;
- **შედარებითი** – უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას, მოხდეს მიღწეული შედეგების შეფასება დროის სხვადასხვა პერიოდში.

პროგრამული ბიუჯეტის შესრულების შეფასებისას ნათლად უნდა გამოჩნდეს მიღწეული შედეგები და არა მხოლოდ ათვისებული ხარჯები. შესაბამისად პროგრამული ბიუჯეტის შესრულების შეფასებისას აქცენტი გადატანილი უნდა იყოს დაგეგმილ და მიღებულ შედეგს შორის არსებულ განსხვავებაზე და არა მხოლოდ მხარჯავი დაწესებულების და მისი საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის დამტკიცებული და დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებულ ხარჯებსა და საკასო შესრულებას შორის არსებულ განსხვავებებზე.

**ბიუჯეტის შესრულების წარდგენის ვადები** განსაზღვრულია ამ სახელმძღვანელოს 2.3 თავში. ბიუჯეტის კვარტალური ანგარიში გამგეობის მიერ საკრებულოს წარდგინება კვარტლის დასრულებიდან 1 თვის ვადაში, ხოლო წლიური ანგარიში - წლის დასრულებიდან 2 თვის ვადაში. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვებისგან განსხვავებით, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში, ფისკალურ მაჩვენებლებთან ერთად, წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია გასული საბიუჯეტო წლის განმავლობაში განხორციელებული პროგრამების და მიღწეული შედეგების შესახებ.

მიზანშეწონილია, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების **წლიური ანგარიში მომზადდეს შემდეგი სტრუქტურის მიხედვით:**

- 1-ელ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით და მასში აისახოს ინფორმაცია როგორც გეგმური, ასევე ფაქტობრივი ფისკალური მაჩვენებლების შესახებ. აქვე უნდა იყოს ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მთლიანი მაჩვენებლებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ;
- მე-2 ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს ბიუჯეტის შემოსულობების მიმოხილვა, მათი გეგმური და ფაქტობრივი შესრულების მაჩვენებლები. ისინი ჩაშლილი უნდა იყოს არანაკლებ იმავე დონეზე, როგორც ისინი წარმოდგენილი იქნებიან წლიურ ბიუჯეტში;

- მე-3 ნაწილში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია განხორციელებული პროგრამების, ქვეპროგრამების, ღონისძიებების და მიღწეული შედეგების შესახებ;
- მე-4 ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით პროგრამების, ქვეპროგრამების და ღონისძიებებისათვის გამოყოფილი ასიგნებების და მათი საკასო შესრულების შესახებ.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიშს თან უნდა ახლდეს **ინფორმაცია პროგრამების შესრულების შესახებ**, სადაც მოცემული იქნება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტით გათვალისწინებული თითოეული პროგრამისათვის:

- პრიორიტეტების დოკუმენტით გათვალისწინებული მოსალოდნელი შედეგი;
- წლის ბოლოსთვის მიღწეული შედეგი;
- შედეგის შეფასების ინდიკატორები;
- განმარტება დაგეგმილთან შედარებით განსხვავებული შედეგის მიღწევის შემთხვევაში.

---

<sup>i</sup> **საღლო** - საბუღალტრო აღრიცხვაში გულისხმობს საბუღალტრო ანგარიშის ნაშთს და წარმოადგენს დებეტისა და კრედიტის ანგარიშების ჩანაწერების სხვაობას

<sup>ii</sup> **გათანაბრებითი ტრანსფერი** - ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები, რომელთა გამოყენების მიმართულებებს დამოუკიდებლად განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო;

<sup>iii</sup> **მოსაკრებელი** - აუცილებელი გადასახდელი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, რომელსაც ფიზიკური და იურიდიული პირები იხდიან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ განსაზღვრული ვადით ან უამისოდ, კანონით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების ან/და სარგებლობის უფლების მინიჭებისათვის, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გარკვეული მომსახურების გაწევისათვის.

<sup>iv</sup> **უზურფრუქტი** - უფლება სხვისი ქონებითა და მისი შემოსავლით სარგებლობისა ამ პირობით, თუ ამ ქონებას არაფერი დააკლდება

<sup>v</sup> **შემოსულობა** - საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში მიღებული ფულადი სახსრების ერთობლიობა, რომელიც მოიცავს: შემოსავლებს, არაფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებულ სახსრებს, ფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებულ სახსრებსა (ნაშთის გამოყენების გარდა) დავალდებულებების აღების შედეგად მიღებულ სახსრებს